საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

სპეციალობა არქიტექტურა

თემატური სემინარი:

ლანდშაფტური გარემო და არქიტექტურა

ხელმძღვანელი სრული პროფ. ელენე კალანდაძე

დოქტორანტი ბელა თინიკაშვილი

არქიტეტურულ - ლანდშაფტური გარემო მზრდადი და ცვალებდი ქალაქის ქსოვილია, რომელსაც აქვს წარსული, აწყმო და მომავალი. ადამიანის დამოკიდებულება გარემოს სივრცითი სტრუქტურის ორგანიზაციისადმი ყოველთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. აღნიშნულ დარგში ცნობილი თეორეტიკოსები და მკლევარები მუშაობენ, მათ შორის: არქიტექტორი, ქალაქმშენებელი და ქალაქების ვიზუალური აღქმის პრობლემის ცნობილი სპეციალისტი, მკლევარი კ.ლინჩი, ე. ბელიაევა, კ აფანასიევი, რ.არნხეიმი და სხვები,. ისინი როდესაც განიხილავენ ადამიანის ურთიერთქმედებას მის გარემომცველ მატერიალურ გარემოსთან, უპირველესად მიუთითებენ ადამიანის მიერ გარემოს აღქმის ფაქტორზე, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ადამიანის და გარემოს ურთიერთქმედების პროცესში, ყველაზე ფუნდამენტურ, დამაკავშირებელ მექანიზმს წარმოადგენს. ენციკლოპედიურ ლექსიკონში აღქმა – (პერცეფცია, ლათ. წარმოდგენა, აღქმა) - კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესია, რომლის დროსაც ხდება ფსიქიკაში რეალური სინამდვილის ასახვა, საგნის ან მისი ცალკეული თვისების უშუალო განცდა.

გარემოს აღქმის საკითხი ადამიანის და გარემოს შორის ორმხრივი პროცესის შედეგია. ამ პროცესში ინდივიდუალურ ფაქტორს აქვს დიდი მნიშვნელობა.[7]

„არქიტექტურაში აქსიომაა - ადგილმდებარეობა გვკარნახობს ასაგები ობიექტის ფორმასა და შინაარსს, თავად არქიტექტურა კი ეროვნული ფილოსოფიის შედეგია, ფილოსოფიაა, იდეოლოგია.... ის ქმნის გარემოს, რომელიც იმ ადამიანთა ფსიკიკასაც აყალიბებს, რომლებიც ამ გარემოში ცხოვრობენ. ამიტომ გასათვალისწინებელია იმ პროფესიონალების აზრი, ვინც შემოქმედია და არა მომხმარებელი. შემოქმედი ქმნის ეპოქას, რაც არ ძალუძს მომხმარებელს.“ [9]

„თანამედროვე არქიტექტორებს ხშირად საყვედურობენ, რომ ჩვენმა წინაპრებმა უკეთ იცოდნენ არქიტექტურის და ბუნების ორგანული შერწყმა.“[5 გვ] თუ გადავხედავთ უხვად შემორჩენილ არქიტექტურულ ძეგლებს, ძველ ქალაქებს, შესანიშნავ ანსამბლებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ წარსულის ხუროთმოძრვრული ნაგებობანი გარემოსადმი ფაქიზი დამოკიდებულებით, ბუნებრივი მასალის გონივრული გამოყენებით იქმნებოდა. რელიეფზე ოსტატურად მორგებული საოცრად

გაწონასწორებული, ჰარმონიული ნაგებობები - არქიტექტურისა და ბუნების შერწყმის ნიმუშებია.

არქიტექტურა თავიდანვე ატარებდა იდეას- დომინირება ბუნებაზე, სივრცეზე,. ჩვენამდე მოღწეული ქვის ხანის ტიპი მენჰირია- ვერტიკალურად მდგრადი ქვის მასა. ის აკეთებს ძლიერ განაცხადს გარშემო ლანდშაფტის მიმართ - ხაზგასმით უპირისპირდება თავისი მისწრაფებით ცისაკენ მიწის ჰორიზონტალს. ეს შეიძლება მოგვეჩვენოს ძალიან გულუბრყვილოდ, მაგრამ სწორედ აქედან, მენჰირიდან მიდის პირდაპირი გზა გოთურ ტაძრამდე და მანჰეტენის ცათამბჯენამდე.[8]

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ბუნებისა და არქიტექტურის ისეთ განსაკუთრებულად დამახასიათებელ სინთეზს, მსოფლიოში სამაგალითოდ აღიარებულ - ეგვიპტის პირამიდებს. წარმოვიდგინოთ თვალუწვდენელი ყვითელქვიშიანი უდაბნო..., ლაჟვარდოვანი ცა და ამ უღრუბლო ცის ფონზე ხაზგასმული გეომეტრიზმით ჩახატული სამი ცადატყორცნილი პირამიდა.[5,გვ.8] მძაფრი კონტრასტის შესარბილებლად ანსამბლის აბსოლუტური სრულყოფისათვის უზარმაზარი კლდე - გრანიტის მასივი გადააქციეს სფინქსად. თითქმის ხუთი ათასი წლის წინათ შექმნილი ანსამბლი დღესაც გვევლინება არქიტექტურის გარემოსთან შერწყმის სწორუპოვარ მაგალითად.

არ შეიძლება არ აღინიშნოს შექმნილი ქალაქების ჰარმონიული შეხამება ბუნებრივ ლანდშაფტთან, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთმანეთს ავსებენ. აკროპოლისები, თეატრები, ფორუმები, აგორების ტერასები თითქმის ამოზრდილია ბუნებრივი ლანდშაფტიდან. მათში ოსტატურადაა გამოყენებული ღია სივრცეები მოედნების მოსაწყობად, რომლებიც მრავალრიცხოვან ადამიანზეა გათვლილი. ათენის აკროპოლისი გამოიყურება როგორც კლდის სკულპტურული დასრულება. ქალაქის შუაგულში მომცრო ბორცვზე ლაღად და თვისუფლად აღმართული, თეთრი მარმარილოთი ნაგები ანსამბლი, უკვე ორიათას ხუთასი წელია აოცებს მნახველს თავისი პროპორციებით, კომპოზიციით და რა თქმა უნდა -გარემოსთან ზუსტი და მოხდენილი შერწყმით.

არქიტექტურის ბრწყინვალე განაშენიანება - ფლორენცია, პრაღა, ვენეცია-აქ ძნელად გასარჩევია - რა შექმნა ბუნებამ და რა- ადამიანმა[5,გვ.8]

რუსული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია ნერლის ერთგუმბათიანი ეკლესია, თავისი დასრულებული კომპოზიციით, პროპორციით და დეტალების დახვეწილობით. უნიკალურია მისი ადგილმდებარეობა, რომელიც თავადი ანდრეი ბოგოლუბსკის მითითებით შეირჩა. ხელოვნურად ამაღლებულ, რიყის ქვით და თიხით გამაგრებულ მწვანე ბორცვზე თეთრი ქვისგან ნაძერწი ცისკენ აზიდული ტაძარი, დამშვენებულია ნამდვილი რუსული გარემოს პეიზაჟით- მდორე მდინარე ნერლის ნაპირით. გაზაფხულზე, როდესაც მდინარე ადიდდება, ეკლესიის გარშემო რჩება პატარა კუნძული, მდინარეში კი პროპოციების დაურღვევლად ირეკლება ქათქათა ტაძარი.

ონეგის ტბაზე, წაგრძელებულ კუნძულ კიჟიზე ბუმბერაზ ტყეებსა და თვალუწვდენელ ტრამალებს შესანიშნავად ესადაგება რუსული ხის არქიტექტურული ანსაბმბლი - კიჟის სამონასტრო კლომპლექსი, რომლის შემადგენლობაშია ორი მრავალგუმბათიანი ხის ეკლესია და სამრეკლო. როგორც ჩანს, სწორედ ამ ადგილის ულამაზესი ბუნება გახდა ოსტატებისთვის შთაგონების წყარო, და მათ გამოძერწეს ხელოვნების ნიმუში , რომელმაც დაამშვენა კუნძული, ლანდშაფტური გარემო.

და რაღათქმა უნდა, აღსანიშნავია საბერძნეთის ერთ-ერთი დიდი სამონასტრო კომპლექსი, კლდის თავზე განთავსებული - მეტეორა. მისი ადგილმდებარეობა დღემდე აოცებს მნახველს - სიმწვანეში ჩაფლული კლდის სვეტები, რომელსაც აგვირგვინებს ქვით ნაგები, კრამიტით გადახურული და ხის გალერეებით დამშვენებული არქიტეტურული კომპლექსი - ბუნებრივ ლანდშაფტთან ჰარმონიული შერწყმით. ფონს მხოლოდ ლურჯი ცა და კლდეები უქმნის. მეტეორა „ჰაერში ჩამოკიდებულს“, ნიშნავს, „მიწასა და ცას შორის“

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ძეგლების, რომელიც ძნელად წარმოსადგენი და აღსაქმელია იმ ლანდშაფტური გარემოს გარეშე, სადაც ის იშვა.

დღეს ბევრი თანამედროვე არქიტექტორი თავის შემოქმედებაში მიმართავს ბუნებრივ ფორმებს, როგორც შთაგონების წყაროს. ამით გამოხატავს ადამიანის მისწრაფებას

დაიბრუნოს დაკარგული ჰარმონია ბუნებრივ გარემოსთან, შეინარჩუნოს ბუნებრივი სისტემები და ლანდშაფტი. წარმოდგენილ ნაშრომში, ცნობილი უცხოელი არქიტეოქტორებიდან გამოვყოფთ მხოლოდ ემილიო ამბაზის, ტადაო ანდოსა, და რენცო პიანოს შემოქმედებას, მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას არქიტექტურისა და ბუნებრივ ლანდშაფტის მიმართ.

არქიტექტურის და ბუნებრივი გარემოს სინთეზია ემილიო ამბაზის (Emilio Ambasz). მიერ ესპანეთში აშენებული _ «განმარტოების სახლი» (2005 წ.). სახლი უჩვეულო და არასტანდარტულია. იგი ჰარმონიულადაა განთავსებული სერრო-მორენას მთის ძირში. ორი თეთრი კედელი შენობის ერთადერთი მიწისზედა ნაწილია, რომელსაც ფონს უქმნის ტყიანი მთები. თეთრი ფერი და მარტივი ფორმა ხაზს უსვამს შენობის დომინირებას ბუნებაზე. მიწაში ამოჭრილი ტალღოვანი ღიობები - «ფანჯრები» შენობის შიდა სივრცეს გარემოსთან აკავშირებს.

ამბაზი ქმნის ორგანულ სივრცეს, რომელიც მიისრაფის ჰარმონიისაკენ ნაგებობასა და ბუნებას შორის, არქიტექტურასა და ლანდშაფტს შორის. ის „სვამს“ შენობას მიწაში მთლიანად ან ნაწილობრივ, ავსებს ფასადებს მცენარეებით, ამწვანებს სახურავებს. ის განსაკუთრებულ ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობა მშენებლობას ქალაქის სტრუქტურაში წარმოქმნილ გარემოში. ამ თვალსაზრისით მის პროექტებში, ერთერთი პრიორიტეტია მიწა, რომელიც გამოყენებულია შენობისთვის. ის უბრუნდება საზოგადოებას გამწვანებული სპეციალური ზონების სახით, რომელიც ინტეგრირებულ ორგანულ ელემენტს წარმოადგენს.

ემილიო ამბაზის აკრის პრეფექტურის შენობა ფუკუოკაში (1994 წ.) წარმოადგენს მწვანე მთას ქალაქის ცენტრში. ესაა ინოვაციური მწვანე ურბანული მოდელი. - ერთ სტრუქტურაში შერწყმულია ორი განსხვავებული ფუნქცია: შენობა და ლანდშაფტი.

აღსანიშნავია არქიტექტორ ემილიო ამბაზის შლუმბერჟეს კვლევითი ლაბორატორია: ესაა გაშლილი დიდი სივრცე, ორგანიზებული და შეკრული საუცხოო ფორმის ნაგებობებით, რომელსაც თავისუფლად შევადარებდით რაღაც წმინდა სარიტუალო ტერიტორიას, ზებუნებრივ მიდამოს.

არქიტექტორი რენცო პიანო სან-ფრანცისკოში აპროექტებს მსოფლიოში ყველაზე დიდ ეკოლოგიურ სახლს ე.წ. «ოქროს ჭიშკარს». შენობის 9 900 კვ მ ფართის სახურავი დაფარულია მიწით. რენცო პიანო ამბობს: «ჩვენ შევქმენით მუზეუმი, რომელიც ვიზუალურად და ფუნქციურად დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოსთან». სახურავში განთავსებულია ფანჯრები, რომლებიც იხსნება და იხურება თანამედროვე ტემპერატურული მონიტორებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მუზეუმის ვენტილაციას და თბოიზოლაციას.

იაპონელი ხალხის განსაკუთრებული დამოკიდებულება და მათი ფილოსოფიური ხედვა ბუნებრივი ლანდშაფტისადმი ცნობილია. მომხდარმა მიწისძვრამ უამრავი მსხვერპლი და მატერიალური ზარალი მიაქყენა კაცობრიობას. თუმცა როგორც ტადაო ანდო ერთერთ ინტერვიუში ამბობს - საყვარელი პეიზაჟის დაკარგვამ ადამიანებზე დამთრგუნველი და დაბნეულობის გრძნობა გამოიწვია: „Архитектура – одна из важных элементов, формирующих родной пейзаж. Она обязана выполнять функцию охраны жизни людей, но не только: в самой архитектуре должна заключаться жизнь. Всегда молчаливо находясь рядом, она должна морально поддерживать человека. Я намерен и в дальнейшем создавать произведения архитектуры с мыслью о том, что она глубоко связана с жизнью людей“

ნაოშიმას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი განლაგებულია ზღვის სანაპიროზე ტყიან კონცხზე. შენობა მთლიანად ჩასმულია ბორცვში, მხოლოდ ნაწილობრივ ამოწეული ბეტონის გეომეტრიული ფორმების კედლები ქმნიან ჰარმონიას ბუნებასთან და ვიზუალური კომფორტის შეგრძნებას.

საქართველო უდავოდ განსაკუთრებით ლამაზი ქვეყანაა. კავკასიონის მაღალი მწვერვალებიდან შავი ზღვის ნაპირებამდე გადაშალა ბუნებამ თვალწარმტაცი კუთხეები. ბუნების განუმეორებელმა სილამაზემ და სიმდიდრემ გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში. საქართველოს ხუროთმმოძღვრეული კომპლექსები ბუნებისა და არქიტეტურის შერწყმის თვალსაზრისით შესანიშნევი ნიმუშებია. „მტკვრის და არგვის შესართავთან განლაგებული მცხეთა: სვეტიცხოველი, სამთავრო და მთაზე გენიალურად მორგებული ჯვრის მონასტერი აგვირგვინებს სრულყოფილი ხეობების კომპოზიციას, კლდოვანი

კალთებით და მდინარეებით შექმნილ პეიზაჟს. უდიდესი ტაქტით, უზადო გემოვნებით და უბადლო ოსტატობითაა ჩართული ქართული ხუროთმოძღვრების შედევრები ულამაზეს ლანდშაფტში. არქიტექტურით და ლანდშაფტური გარემოთი-იქმნება ჭეშმარიტი სინთეზი-- ხარისხობრივად მეტად ძლიერი და ამაღლებული ფენომენი“.[5 გვ. 22]

ხუროთმოძღვრებისა და ბუნების შერწყმით სვანეთის განსაცვიფრებელია - უშგული. ის აღიქმება მთლიან არქიტექტურულ ანსამბლად - სახლები, ცადაზიდული კოშკები, და გარემომცველი მთის მწვერვალები. ბუმბერაზ მწვერვალთა შორის ჩაკეტილი ხეობა ძნელად წარმოსადგენია სვანური კოშკების გარეშე და ადამიანის გენიამ ზუსტად მიაკვლია ამ კოშკების ფორმას, პროპორციებს, განლაგებას, მხატვრულ სახეს, ულამაზესი ბუნება ადამიანმა კიდევ უფრო გაალამაზა. შატილი და მუცო- ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უნიკალური ძეგლებია. მუცო - თავისი ციხე-კოშკებითა და საცხოვრებელი კომპლექსებით აგვირგვინებს კლდოვანი მთის მწვერვალს. მთელი განაშენიანება მთიდან ამოზრდილის შთაბეჭდილებას ტოვებს. შატილი მოქცეულია ახლო მდებარე მთების რკალში, მხოლოდ ახლოს მისვლისას წარმოუდგება მნახველს კლდოვან კონცხიდან აღმართული ციხე-სიმაგრე. კიდეებზე მოთავსებული ციხე - სახლები მიჯრითაა აგებული და ამის შედეგად ერთიანი დამცველი მიუვალი კედელია შექმნილი. იგი კონცხის მოხაზულობას გასდევს და მთლიანად კეტავს შატილის ანსამბლს. შატილის ძირითადი მასივი ხასიათდება შენობათა მჭიდრო შეჯგუფებულობითა და საფეხუროვანი განლაგებით, რელიეფის შესაბამისად. მთლიანად კლდეში შეზრდილი შატილის განუმეორებელი განაშენიანება, რომელიც საუკუნეების მანძილზე საიმედოდ დარაჯობდა საქართველოს ჩრდილო გადმოსასვლელებს, ქართული ხალხური სამშენებლო ხელოვნების ერთ - ერთ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს.

გავიხსენოთ გელათის მონასტრის ანსამბლი მდებარე უხვად გამწვანებული მთის კალთებზე. კლდეში ნაკვეთი ქალაქები -- უფლისციხე, ვარძია, დავით გარეჯის მრავალმთის მონასტერის კომპლექსი. გერგეტის სამების ტაძარი დაბა სტეფანწმინდის (ყაზბეგი) ჩრდილოეთით, (ზღვის დონიდან 2200 მეტრზე) მთის მწვერვალზეა

აღმართული. გერგეტის სამება ლანდშაფტთან შერწყმით და მიმზიდველი კომპოზიციით საქართველოს ძველი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია. ტაძრისა და სამრეკლოსათვის თერგის ხეობაში ისეთი მაღალი მთაა შერჩეული, რომელსაც ფონად მყინვარწვერი აქვს. ამ თეთრ ფონზე ნაგებობათა სილუეტები კარგადაა გამოკვეთილი. ხუროთმოძღვისთვის აღმოსავლეთიდან ხედი იყო მთავარი, რადგან მოსახლეობა მხოლოდ აქედან აღიქმებოა და ხეობის მაგისტრალიც ამ მხარეზეა.

ეს ყველა ხუროთმოძღვრების ის ნიმუშებია, სადაც ადამინმა ბუნება უფრო დაამშვენა და დღესაც ანცვიფრებენ მნახველს სამშენებლო ხელოვნების მაღალმხატვრული ღირებულებით[5 გვ..9.]

თუ გადავხედავთ უხვად შემორჩენილ არქიტექტურულ ძეგლებს, ძველ ქალაქებს, შესანიშნავ ანსამბლებს, ადვილად შევამჩნევთ, რომ გარემოსადმი ფაქიზი დამოკიდებულებით და ბუნებრივი მასალის გონივრული გამოყენებით საუკუნეებით იქმნებოდა ოსტატურად მორგებული, საოცრად გაწონასწორებული ჰარმონიული ნაგებობები _ არქიტექტურისა და ბუნების შერწყმის ჩინებული ნიმუშები. ჭეშმარიტად მაღალნიჭიერი ხუროთმოძღვრული ძეგლები, არა თუ რამეს აკლებენ, არამედ ალამაზებენ მას და უფრო სრულყოფილს ხდიან.

თბილისი განეკუთვნება იმ ქალაქების რიცხვს, სადაც ბუნებამ, მთიანმა პეიზაჟმა განსაკუთრებული კვალი დატოვა არქიტექტურულ იერზე. ძველი თბილისი მტკვრის პირას ჩაისახა და ამ მდინარის გასწვრივ გრძივად ვითარდებოდა, მტკვრისკენ იყო მიმართული მრავალი ქუჩა და მტკვარზე გადმოფენილი უამრავი სახლი. თბილისის სახასიათო მაგალითია მეტეხის პლატოს საცხოვრებელი განაშენიანება. აქ არქიტექტურული ძეგლის ცნებას აერთიანებს კლდის ციცაბო და უფსკლულში ჩამოკიდებული აივნები და შენობების მასშტაბი. გარდა ამისა, ერთიანი არქიტექტურული ძეგლს წარმოადგენს მატეხის პლატოს მთელი პანორამა: პლატოს კლდის განაშენიანება, ციტადელის მხატვრული ნანგრევები, ტერასულად მთის ფერდებზე შეფენილი სახლები. ქუჩის, მოედნის ან სახლების ჯგუფის ვიზუალური

აღქმა არ იზღუდება მხოლოდ კონკრეტული შენობების აღქმით, რომელიც მოცემული მონაკვეთის განაშენიანებას ქმნის.

ძველი თბილისი, მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი არქიტექტურულ-ურბანული და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გარდა, ინდივიდუალური ლანდშაფტური არქიტექტურით გამოირჩევა. თბილისი -ნარიყალა და მთაწმინდის ფერდი, ელია, სოლოლაკის მთა, მეტეხის ხიდი, მკვეთრი რელიეფის წყნარი განაშენიანება - ეს ხომ არქიტექტურის და ბუნების ერთიანობის, ორგანული კავშირის საოცარი მაგალითებია. მაგალითებია იმისა თუ როგორ უნდა შენდებოდეს თბილისი, რომ ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ყველაზე ღრმა ტრადიციაა არქიტექტურული ნაწარმოების დამოკიდებულება გარემო ლანდშაფტთან, მხატვრულად და კომპოზიციურად სივრცის ორგანიზება, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლება და ვლინდება თბილისში აგებულ გარემო ლანდშაფტთან ოსტატურად აგებულ თანამედროვე შენობებში.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს განაშენიანებაში ყურადღებას იქცევს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე რთულ რელიეფს შესანიშნავად მორგებული ყოფილი გზების სამინისტროს შენობა (არქ. გ. ჩახავა და ზ. ჯალაღანია). იგი გარედან წარმოაჩენს სამშენებლო ტექნიკის შესაძლებლობებს, განაშენიანებისთვის თითქმის შეუძლებელი 33 მეტრის სიმაღლის ქანობიანი ნაკვეთია ათვისებული. გამჭოლი სივრცით შექმნილმა ბადემ მოგვცა არსებული ლანდშაფტის და ხელოვნური ელემენტების უჩვეულო მჭიდრო კონტაქტი. შენობამ სიცოცხლე შესძინა მტკვრის მარჯვენა კლდოვან ნაპირს, მშენებლობისთვის გამოუსადეგარ მიწის ნაკვეთს. ეს შენობა ქალაქის სხვადასხვა აღქმის წერტილებიდან კლდოვან რელიეფთან ერთად განსხვავებულად იკითხება. მთელი ნაგებობა ქმნის რთული რელიეფისთვის დამახასიათებელ სივრცულ დინამიკას და ასოცირდება ძველი თბილისის ბანიან სახლებთან, რომლებიც თითქოს „მიცოცავენ“ მთის ფერდობებზე

საინტერესო იყო თავის გადაწყვეტით რესტორანი „არაგვი“ (არქ. ო. მაჩაბელი). რესტორანს ეკავა ერთ-ერთი მხატვრული ადგილი მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ბორცვის ძირში. შენობის არქიტექტურული სახე ექვემდებარებოდა ამოცანას სათუთად

ჩამχდარიყო მრავალწლიან მასივში. იგი არ აცხადებდა დომინანტის პრეტენზიას. მარტივი ოთხკუთხა ფორმის მოცულობა ხაზგასმული ღრმა აივნების ჰორიზონტალური ხაზებით. სახლი ეზოს სივრცის ნაწილად აღიქმებოდა. ეს იყო არქიტექტორის მიერ საკუთარი ქვეყნის ბუნების, კლიმატისა და ტრადიციის ლოგიკური გააზრებით შექმნილი არქიტექტურა. დღეს რესტორანი „არაგვი“ დანგრეულია. უფრო მეტიც, ბორცვის ძირი, ბუნებრივი მწვანე მასივი აღარ არსებობს, რელიეფი გასწორებული და გაბრტყელებულია. ეს არის დროის მიერ მოტანილი სახეცვლილება, სადაც უკუგდებულია არქიტექტურის გარემო ბუნებისადმი ურთიერთ დამოკიდებულებისა, პატივისცემის ყველანაირი წესი. (3, გვ. 335).

ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითი იყო სასტუმრო „ივერია“ (არქ. ო. კალანდარიშვილი). რუსთაველის გამზირზე თითქმის ყველა შენობა ამ ქუჩისათვის არის დაპროექტებული და აშენებული, სასტუმრო „ივერიის“ კომპლექსი კი გათვალისწინებული იყო მტკვრის ხეობაზე, ქალაქზე. სასტუმრო ივერიის 20-სართულიანი შენობა მდებარეობდა მტკვრის ბექობის პირზე. ამ კონცხზე მისმა განთავსებამ და მაქსიმალურად დაშორებამ გამზირის განაშენიანების ხაზიდან შეაძლებინა ავტორს მიემართა მაღლივი კომპოზიციისთვის, კონტრასტულად დაუპირისპირდა გარემოს, მაგრამ არ დაანგრია როგორც რუსთაველის გამზირის განაშენიანება, ასევე მთაწმინდის ფერდის უკვე ჩამოყალიბებული მასშტაბი. დღეს სასტუმრო `ივერიას~ ადგილი დაიკავა ახალმა მონუმენტურმა ნაგებობამ „რედისონ ბლუ“. შესაბამისად შეიცვალა არსებული დამოკიდებულება გარემოსა და არქიტექტურას შორის. ქალაქში გაჩნდა ახალი დომინანტი, რომელმაც სრულიად შეცვლა ამ ადგილის იერი. მინის საერთაშორისო მოწყენილობას და ერთფეროვნებას კიდევ ერთი შენობა შეემატა.

მოკრძალებულად არის ჩადგმული მთაწმინდის ფერდში ბიზნეს-ცენტრის შენობა (არქ. ვ. დავითაია). ეს გაწონასწორებული, თითქმის სკულპტურული ნაგებობა განფენილია შიდა ეზოს ირგვლივ ტერასებად. არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრ¬ცულ-მოცულობითი სტრუქტურის საწყის იდეას წარმოადგენს რელიეფის ხასიათისა და სტრუქტურის მაქსიმალური შენარჩუნება. ათვისებულია

მშენებლობისათვის უკიდურესად მოუხერხებელი მთაწმინდის კალთის ნაკეცი. ნაგებობა შედგება ორი პლასტიკური მოცულობისაგან, რომელთა კონფიგურაცია იმეორებს რელიეფის კონტურს. აქ იკარგება ზღვარი ბუნებასა და ადამიანის მიერ შექმნილ ნაგებობას შორის. ეს არის დიალოგის ფორმა ბუნებასა და არქიტექტურას შორის (ამჟამად მიმდინარეობს ამ ნაგებობის რეკონსტრუქცია).

მთაწმინდის უშუალოდ მთის პირას (მთის დახრა 600) აღმართულია ფუნიკულიორის ზედა სადგური (არქ, ზ. და ნ. ქურდიანები) შენობის მთავარი ელემენტი განიერი სინათლით გამსჭვალული ტერასაა, გადახურული ფაქიზი ბადისებრ ჭერით, ნატიფ კოლონებზე შემდგარი თახების პროპორციებით ჰქმნის სიმსუბუქის შთაბეჭდილებას, ეს გახლავთ კარგად გადაწყვეტილი საპარკო ნაგებობა, რომელიც ჰარმონიულად ჩაეწერა გარემოში, თუმცა იყო მოსაზრებაც, რომ თხემზე წაგრძელებული ნაგებობა კვეთდა მთის წვერს. პავილიონის გვერდით სატელევიზიო ანძის აშენებამ, მკვეთრმა ვერტიკალმა შექმნა გაწონასწორებული კომპოზიცია, თუმცა აქაც იყო აზრთა სხვადასხვაობა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ორთაჭალაში აგებული რიტუალების სასახლე (არქ. ვ. ჯორბენაძე, ვ. ორბელაძე), რომელმაც ახალი ჟღერადობა და მხატვრული სახე მიანიჭა გარემოს. სწორედ ამ ადგილზე ითხოვდა არქიტექტურული სიტუაცია ძლიერ აქცენტს, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებდა საკმაოდ ერთფეროვან გარემოს, და ამ ერთობ უინტერესო გარემოს საინტერესოდ აქცევდა. და ისევ ტრადიცია - დომინირება გარემოზე. დღეს ეს კომპლექსი სახეცვლილია.

თბილისის ძველ უბანში, სოლოლაკში ქალაქის კიდეში, ამაღლების ქუჩაზე, იქ, სადაც ერთმანეთს „მთა და ქალაქი“ ხვდება, ამოზრდილი „სამი თეთრი გვირილა“ _ პოეზიის სასახლე (არქ. შ. ბოსტანაშვილი) „ნაგებობა კონტრასტულად დაუპირისპირდა არსებულ უსისტემო განაშენიანებას. ამ არქიტექტურაში ჩანდა ავტორის შემოქმედებითი მიდგომა გარემო სამყაროს მიმართ, რაც საშუალებას იძლეოდა შენარჩუნებული ყოფილიყო არქიტექტურის პოეტიკა. ეს კი ნიშნავს დაბრუნებას ბუნებისკენ და ადამიანურობისკენ“ (ციტატა ეკუთვნის შ. ბოსტანაშვილს). ხელოვნების ნაწარმოების მიმართ ადამიანთა განსხვავებული აზრი აუცილებლად იქნება. სწორედ ამიტომ მოიხსენებოდა ე.წ. „უცნობ გუმბათებად“ შენობის განსაკუთრებულობა. ამ შენობის

აღქმის ორი წერტილი ჰქონდა; ერთი ამაღლების ქუჩიდან - ქვემოდან, როდესაც „ეს თეთრი ნაგებობა მოუთმენლად აღიმართებოდა და მეორე კი ფუნიკულიორიდან, როდესაც მისი აღქმა სდებოდა ფერდობთან და განაშენიანებასთან ერთობლიობაში. სამწუხაროდ, პოეზიის სასახლესაც გამოუტანეს ბარბაროსული განაჩენი და შენობას ხელყოფენ ის კი პრემირებულია როგორც წლის საუკეთესო ნამუშევარი..

„სოკარის სათაო ოფისი“ (არქიტ. ვ და გ.ქობულიები) ჩასმულია მცირედ ამღლებულ რელიეფზე, ერთის მხრივ რთულია ფუნქციურ-ტექნოლოგიური კავშირების რაციონალურად გადაწყვეტა, და ამავე დროს ადგილის სპეციფიკა ხელს უწყობს სივრცულ-კომპოზიციურ გადაწყვეტას. არქიტექტურული ახალი ფორმები ასოცირდება XII საუკუნის ხუროთმოძღვრულ ძეგლთან ბაქოში - „ქალწულის კოშკთან“. მთავარი ფასადი ცილინდრული ფორმისაა მინის და სარტყლისებრ განლაგებული ბეტონის ჰაეროვანი ჰორიზონტალურად დაყოფილი „ჟალუზებით“, გარშემო ლანდშაფტში თავისი მასშტაბით, ფერთა შეხამედით კარგად „ჩაეწერა“ და ამ ადგილს ღირსებას მატებს. მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან ხეებში ჩაფლული შენობა საოცრად ირეკლება მტკვარზე.

დაწყებული არქაული დროიდან არქიტექტურა ყოველთვის მიილტვოდა ლანშაფტის “დასაპყრობად”, დამორჩილებისაკენ, რათა დაეჭირა იქ ყველაზე მომგებიანი პოზიცია, გამხდარიყო დომინანტი. ის ყოველთვის პოულობდა ადგილს რელიეფის მნიშვნელოვან წერტილზე. ხდება ერთგვარი ათვისება ბუნებრივი სიტუაციისა და გარემოში არქიტექტურის გავლენის სპეციფიკური ველის განვრცობა. (ამის მაგალითია ზემოთ განხილული მსოფლიო და ასევე ქართული ხუროთმოძღვრების შესაბამისი მაგალითები).

თანამედროვე ურბანიზებული ქალაქური გარემო ზღუდავს ადამიანს იცხოვროს ბუნებასთან კონტაქტში, ამიტომ ლანდშაფტური გარემო ქალაქის სტუქტურაში სოციალურ-ეკოლოგიურ მნიშვნელობას იძენს ადამიანის ყოველდღიურ ყოფაში. მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის და დადებითი ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმენლად.

ბუნებაზე ადამიანის ძალმომრეობის არაერთი მაგალითის მომსწრენი გავხდით დღეს ჩვენს ქალაქში: დაირღვა მეტეხის პლატოს ე.წ. „ბროვკის“ ცხოველხატული კონტური, რიყე, მოიჭრა ცირკის მიმდებარე მთა, სადაც მდებარეობდა რესტორანი „არაგვი“ ამ ადგილზე თანამედროვე, გრანდიოზული მასშტაბის ნაგებობების აშენების მიზნით, ირღვევა ვერეს, ელბაქიძის დაღმართის მიმდებარე ფერდიც, მოინგრა კალასა და მთაწმინდის კალთები, მათზე აიგო მონუმენტური ნაგებობა, მთაწმინდის ფერდზე გაჩნდა გაურკვეველი სტილისტური მიმართულების ნაგებობები. ეს საკმარისი ჩამონათვალია იმისა, რომ გავერკვეთ, რა აღმშენებლობითი პროცესები მიმდინარეობს დღეს ჩვენს ქალაქში.

რეალურად კი დაუფარავად ნადგურდება თბილისის უნიკალური რელიეფი. თუმცა უკვე კარგა ხანია დაირღვა ჩვენი ლანდშაფტი. ადრეც და ახლაც თამამად ხდება თბილისის ბუნებრივი რელიეფის სხვადასხვა დონეებით „თამაში“. გავიხსენოთ ვარაზის ხევი, გმირთა მოედანი, ვაკე-საბურთალოს გზა, როგორ დადაბლდა ფიქრის გორა, ლურჯი მონასტრის ბორცვი, ბარათაშვილის აღმართი, მეტეხის კლდე. მაგრამ პრობლემა მარტო რელიეფის განადგურება როდია, არქიტექტურით ხდება რელიეფის „განდევნა“ ქალაქის სივრცული სტრუქტურიდან. ამათგან აღვნიშნავთ ორ მაგალითს: თავისუფლების მოედანზე სასტუმრო „მარიოტის“ ჩადგმით სრულიად დაიფარა მთაწმინდის ვიზუალური აღქმა მოედნიდან. ლაგუნა ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოცენებული განაშენიანების უკან მოფარებული აღმოჩნდა მთაწმინდა. უფრო მეტიც, მამადავითისაკენ გზის დასაწყისში ახალმა მაღლივმა საცხოვრებელმა კომპლექსმა დააკნინა ამ მთის დიდებულება.

არაერთი წერილი გამოაქვეყნა ბ-მა ვ.დავითაიამ რიყის განაშენიანების თაობაზე, კერძოდ: „რიყის განაშენიანების კიდევ არაერთი კონკურსი დაგვჭირდება“, „ისევ და ისევ რიყის შესახებ“, რატომ იმსახურებს რიყე განსაკუთრებულ ყურადღებას და ინტერესს“, „ რიყის არქიტექტურულ - მხატვრული კონციფციის ძიებაში“, „რიყის უბნის ქალაქგეგმარებითი იდეა“, „რიყე დიდი არქიტექტურული დღესასწაულის ღირსია“

რიყის ტერიტორიაზე აშენებელ საკონცერტო დარბაზის (არქ. ე.ფუქსასი) შესახებ ძალიან ძნელია გამოიყენო სიტყვები „ჩაეწერა“, „ფაქიზი დამოკიდებულება

გარემოსადმი“, „ტაქტი“. ბარათაშვილის ხიდიდან შენობამ გადაფარა ძველი თბილისის უმშვენიერესი ხედი, აღარ ჩანს დარეჯანის სასახლე, მეტეხი. დარღვეულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ ძველი თბილისის განუმეორებელი მასშტაბში. აგრესიულად შემოჭრა რიყის მშვიდ ტერიტორიაზე. ამ შენობამ თვით „მშვიდობის ხიდიც“ კი „დაჩაგრა“, რომელიც არც თუ ისე „ტაქტითაა“ გადაჭიმული მტკვარზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის ხიბლი: პანორამული ხედები, რაკურსები, აქტიური ბუნებრივი ლანდშაფტის მონაცვლეობა არქიტექტურასთან, ეს არქიტექტურა ვერ იტანს ახლიმდებარე რელიეფის ანტურაჟს, ამიტომ მისი არსებობა შემთხვევითია. იქმნება შთაბეჭდილება რომ მისი არსებობა რიყეზე დროებითია.

იდუმალებით მოცული მიმდინარე მშენებლობები ბარათაშვილის თხემისკიდეში. რა სახის არქიტექტურა მოგვევლინება ეს ჯერჯერობით უცნობია.

ძეგლის ცნობის უარყოფის და ისტორიული ზონის უგულველბელყოფის მაგალითია ბავშთა სურათების გალერეის დნგრევა. რა პროექტი ხორციელდება, რამდენად ეწერება ის არსებულ გარემოში ესეც უცნობია.

არაერთ ნაშრომსა და სტატიაში აღნიშნულა რომ სათუთად უნდა შევინახოთ მდინარე ვერეს ხეობა, რომლის კალაპოტი მრავალ ადგილას უკვე მიწით გავავსეთ, თვით მდინარე კი მიწისქვეშა მილებში მოვათავსეთ.„[5 გვ 28] მაგრამ დღეს მდინარე ვერე კიდევ უფრო „დავმალეთ, “ჩავამიწეთ“ და გავანადგურეთ გარშემო ლანდშაფტი. ნახევარი საუკუნის წინანდელი სერიოზული გაფრთხილება დღეს იგნორირებულია, არ გათვალისწინებულა ბუნებრივი ლანდშაფტის დაკარგვის საფრთხეების არც გამოცდილება და არც რჩევები.

1964 წელს ევროპაში მიღებული „ვენეციის ქარტია“ ძეგლად მიიჩნევს ბუნების, ადამიანის ან ბუნების და ადამიანის მიერ ერთად შექმნილ ობიექტების ერთობლიობას. ისტორიული ძეგლის ცნება მოიცავს არამარტო ნაგებობას, არამედ მის გარშემო ლანდშაფტსაც.

ქალაქის ქსოვილი, ქალაქის არქიტექტურული გარემო, განიხილება როგორც ხელოვნების ნაწარმოები, როგორც ორგანულ კატეგორია, რომელიც იზრდეიბა და

იცვლება წარსულთან, აწყმოსთან და მომავალთან ერთად «Учитывая окружение, умело «вживляя» новое в ткань старого, архитектор использует те средства и приемы, которые уместны при данных обстоятельствах, и вновь созданное в сочетании со старым приобретает характер художественного произведения», [4, გვ 3 – 4].

1980 წელს არქიტეტორების თ.კვირკველიას, გ.გეგელიას, და პ.ხუხიას მიერ ქ.თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბირთვის კალას და ავლაბრის ნაწილში რეკონსტრუქცია- რეგენერაციის მიზნით, პირველად ჩატარდა მეცნიერული კვლევა მოცემული უბნის, ქუჩების, მოედნების გეგმარებითი, არქიტექტურულ-კომპოზიციური და სივრცობრივ - მოცულობითი კავშირების შენარჩუნებისთვის.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საყრდენი მონაცემების შემუშავება თანამედროვე ქალაქის ორგანული ნაწილის, ისტორიულად ჩამოყალიბებული შუასაუკუნეობრივი ბირთვის რეკონსტრუქცია- რეგენერაციის პროექტის განხორციელებისთვის.

კვლევის მეთოდების დამუშავებისას ავტორებისთვის ამოსავალ წერტილად იქცა ძველი თბილისის ჩამოყალიბებული სპეციფიური სახის შენარჩუნება, მისი თავისებურებების და ძეგლის ბუნებრივი ხასიათის გამოკვეთა.

„თბილისი განეკუთვნება იმ იმ ქალაქებს, სადაც ბუნება, მთიანი პეიზაჟი განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს არქიტექტურაზე. ყოველი შენობის, ქალაქის ცალკეული ნაწილის აღქმა ხდება გარემო ლანდშაფტთან მთლიანობაში. ბუნებრივი ტერასების სიმაღლეთა მონაცვლეობის გამო განსაკუთრებით იზრდება შორი ხედების ვიზუალური აღქმა, რომელნიც უშუალოდ მონაწილეობენ ცალკეული შენობათა ჯგუფის, უბნის და საერთოდ ქალაქის სივრცობრივ - მოცულობით სახის ჩამოყალიბებაში.

შორი ხედების აქტიური ჩართვა ისტორიული ბირთვის პანორამებში არის ძველი ქალაქის აღქმის თავისებურების უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ასახავს გარემოსთან ურთიერთკავშირის პრინციპს. ახლო და შორი ხედების ვიზუალური კავშირი ზრდის

აღქმის სიმძაფრეს ქალაქის ცალკეულ ნაწილებს შორის, მითუმეტეს, როდესაც იგი ასე დახუნძლულია დომინანტებით. [6,გვ 21]

ამ ნაშრომში გამოკვეთილია არქიტექტორების ფრთხილი დამოკიდებულება როგორც არქიტექტურული და ურბანული ძეგლის (კალა და ავალბარი) მიმართ, ასევე არქიტექტურულ-ლანდსაფტური გარემოს, რადგან ისტორიული ძეგლის ცნება მოიცავს არა მარტო ნაგებობას, არამედ მის გარშემო ლანდშაფტსაც.

ჩვენს მიერ განხილული თითოეული ნაგებობა ქმნის დროისა და ცივილიზაციის ყოველგვარ ტენდენციების გვერდით სრულუფლებიანი დგომის განცდას. ყველა ნაგებობა გამოხატავს მისი განვითარების ბუნებრივ შედეგს. არქიტექტურა და გარემო უბრალოდ კი არ ემატება ერთმანეთს, არამედ უნდა იქმნებოდეს ჭეშმარიტი სინთეზი - ადამიანის გენიასა და ბუნებას შორის. „ბუნებას უნდა ჰქონდეს საკუთარი საარსებო, ჩვენ არ უნდა „შევაწუხოთ“ იგი ჩვენი სახლებით.. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ბუნება, შენობა და ადამიანი ერთ მთლიან, უფრო დიდ და მნიშვნელოვან ერთიანობად ვაქციოთ“ (მის ვან დე როე)

არქიტექტურით იქმნება ხელოვნური სივრცე და ეს სივრცე ჰარმონიულად უნდა თანაარსებობდეს გარემო ბუნებასთან. ეს კი ნიშნავს პატივისცემას გარემოსადმი. დღეს კი არქიტექტურასა და ბუნებას შორის ხშირია კომფლიქტი. ცივილიზაციის გამარჯვებამ წინ წამოწია მიდრეკილება ტრადიციის იოლად რღვევისაკენ, უცხო ტენდენციების წარმოჩენისაკენ.

„და მოხდა ისე, რომ თანამედროვე ცივილიზაციის ტემპს აყოლილები იმ მგზავრს დავემსგავსეთ, რომელიც სიჩქარეში მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ კუთხეში დარჩა“. დღევანდელ, ძალიან მრავალფეროვან და უხვ არქიტექტურული ძიებების ნაკადში ყოველთვის ვერ გამოარჩევ მომავლის ჯანმრთელ მარცვალს შემთხვევითობისაგან. ერთი კი ცხადია _ ბუნებისადმი მიდგომით იცვლება თვით არქიტექტურის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Квирквелия Т.Р. «Архитектура Тбилиси» М. Стройиздат 1985 г.
2. ჯაოშვილი ვ. „თბილისი“ გამომცემლობა „საბჭოთა ხელოვნება“ თბილისი 1989 წ.
3. გაჩეჩილაძე გ. „სულიერი გამოცდილების სამყაროში“, თბილისი, მერანი,, 1986.
4. Беляева Е.Л. «Архитектурно-пространственная среда города как объект зрительного восприятия» М. Стойиздат 1977 г.
5. მგალობლიშვილი ნ. „ხუროთმოძღვრება და ბუნების დაცვა“ თბილისი. 1978 წ
6. Квирквелия Т.Р. Гегелия Г.Г, Хухия П.П. Проектные предложения по адаптации старого Тбилиси. Тбилиси 1980 г
7. Линч К. „Образ города“. пер. с англ. – М.: Стройиздат, 1982.
8. Гутнов А. «Мир архитектуры» М. Молодая гвардия, 1985 г.